



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 31

03 04 2017 წელი

### მახმუდ გაჯიხალილოვის და კოკი ხარშილაძის განცხადებების განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის სხდომის N6 ოქმის მე-6 და მე-7 საკითხების შესაბამისად, მახმუდ გაჯიხალილოვის (რეგ. N60/05. 09.02.2017 წ) და კოკი ხარშილაძის (რეგ. N35/05. 25.01.2017 წ) განცხადებების გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მახმუდ გაჯიხალილოვისა და კოკი ხარშილაძისათვის თითოეულზე 700 ლარის გადარიცხვა ლექსების კრებულის გამოსაცემად, ფინანსური დახმარების სახით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევო